ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4737409

ნომერი: AR1715858

თარიღი : 30.10.2019

გაცემის თარიღი : 05.11.2019

გაცნობის თარიღი : 06.11.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელდარ მილდიანი პ/ნ 01010001939
- ქ. თბილისი, ჯიქიას ქუჩა N5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _
-განიმარტოს კონკრეტულად ვის საკუთრებაში არსებულ ფართზე ხდება სამუშაოები და თუ სამუშაოები ცდება ელდარ მილდიანის საკუთრებაში არსებულ ნაწილს, წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული, სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა.
-არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : დამატებით წარმოადგინეთ ფოტოსურათები, სადაც სრულად გამოჩნდება არსებული ღიობები. ასევე ფოტოსურათებზე დაიტანეთ არსებული ღიობების გაბარიტული ზომები. გაითვალისწინეთ, რომ ჩასატარებელი სამუშოებით არ უნდა იცვლებოდეს ღიობების გაბარიტული ზომები.
-ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : წარმოადგინეთ სარეკონსტრუქციო ფართის ფრაგმენტული ჭრილები, არსებული და საპროექტო და ასახეთ შესაბამისი სარეკონსტრუქციო სამუშაოები.
-საჭიროების შემთხვევაში ფართის მესაკუთრეთა თანხმობა -> ..მესაკუთრეთა თანხმობის pdf ფაილი: საკადასტრო გეგმაზე დააზუსტეთ სარეკონსტრუქციო ღიობების განთავსების ადგილი. ასევე დაიტანეთ რიგელის შეფუთვის არეალი.
ვინაიდან ამ ეტამზე ვერ ხერხდება საკითხის სრულად განხილვა და სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, მოთხოვნილი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობისა და საჭიროების შემთხვევაში ხარვეზების არსებობის შესახებ გეცნობებათ დამატებით.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.